საკასაციო საჩივარი

საქმის ნომერი	2კ-893ა3.-21	**შედეგი**	შეიცვალა სასჯელი
თარიღი	14/03/2022		

გადაწყვეტილება/განჩინება

საქმე # 330100119003297754

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განაჩენი
საქართველოს სახელით

№893ა3-21 14 მარტი, 2022 წელი
მ-ი დ, 893ა3-21 ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლევან თევზაძე (თავმჯდომარე)
შალვა თადუმაძე, მერაბ გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს შსს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დავით მესტვირიშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 14 სექტემბრის განაჩენზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 2 ივლისის განაჩენით დ. მ-ი, - დაბადებული ---- წლის -- ივლისს, - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 25 სექტემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 30 სექტემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 2 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 3 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 7 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2019 წლის 16 ოქტომბრის ეპიზოდი)

გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 273[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - ჯარიმა 3000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 7 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სხვა თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, დ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან - 2019 წლის 16 ოქტომბრიდან.

დ. მ-ს ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა - სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით - საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით - საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. მ-მა ჩაიდინა:

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა; ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება (ხუთი ეპიზოდი); ნარკოტიკული საშუალება ,,მარიხუანის'' მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ანალოგიური ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. მ-მა უკანონოდ შეიძინა და შეინახა თავმილღობილ ლურჯ პოლიეთილენის ნაჭერში 3 ცალად დაფასოებული, 0,1769 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" შემცველი ყავისფერი ნივთიერება, რომელიც 2019 წლის 25 სექტემბერს 300 ლარად უკანონოდ გაასაღა ა. ტ-ე. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებმა ა. ტ-ნ კანონით დადგენილი წესით ამოიღეს.

დ. მ-მა უკანონოდ შეიძინა და შეინახა თავმილღობილ ყვითელ პოლიეთილენის ნაჭერში 2 ცალად დაფასოებული, 0,1078 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" შემცველი მოყავისფრო ნივთიერება, რომელიც 2019 წლის 30 სექტემბერს 200 ლარად უკანონოდ გაასაღა ა. ტ-ე. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებმა ა. ტ-ნ კანონით დადგენილი წესით ამოიღეს.

დ. მ-მა უკანონოდ შეიძინა, შეინახა და 2019 წლის 2 ოქტომბერს ა. ტ-ე 200 ლარად უკანონოდ გაასაღა თავმილღობილ ყვითელ პოლიეთილენის ნაჭერში 2 ცალად დაფასოებული, კუსტარულად დამზადებული, 0,123 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" შემცველი მოყავისფრო ნივთიერება. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებიმა ა. ტ-ნ კანონით დადგენილი წესით ამოიღეს.

დ. მ-მა უკანონოდ შეიძინა, შეინახა და 2019 წლის 3 ოქტომბერს ა. ტ-ე 200 ლარად უკანონოდ გაასაღა თავმილღობილ ყვითელ პოლიეთილენის ნაჭერში 2 ცალად დაფასოებული, კუსტარულად დამზადებული, 0,1367 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" შემცველი მოყავისფრო ნივთიერება. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებმა ა. ტ-ნ კანონით დადგენილი წესით ამოიღეს.

დ. მ-მა უკანონოდ შეიძინა, შეინახა და 2019 წლის 7 ოქტომბერს ა. ტ-ე 200 ლარად უკანონოდ გაასაღა თავმილღობილ ყვითელ პოლიეთილენის ნაჭერში 2 ცალად დაფასოებული, კუსტარულად დამზადებული, 0,178 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" შემცველი მოყავისფრო ნივთიერება. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებმა ა. ტ-ნ კანონით დადგენილი წესით ამოიღეს.

დ. მ-მა უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინი" - 0,03744 გრამი და „ბუპრენორფინი" - 0,0016 გრამი, რაც 2019 წლის 16 ოქტომბერს პოლიციის თანამშრომლებმა დ. მ-ის პირადი და ბინის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის დადგენილებით დ. მ-ი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ნარკოტიკული საშუალება ,,მარიხუანის'' მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის და დაედო ადმინისტრაციული სახდელი - 500 ლარი. მიუხედავად ამისა, მან განმეორებით უკანონოდ შეიძინა და შეინახა მცირე ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „მარიხუანა" - 1,592 გრამის ოდენობით, რომელიც 2019 წლის 16 ოქტომბერს დ. მ-ის ბინის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 14 სექტემბრის განაჩენით: საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დავით მესტვირიშვილისა და მსჯავრდებულ დ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადობის კოლეგიის 2020 წლის 2 ივლისის განაჩენი დ. მ-ის მიმართ შეიცვალა:

დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 25 სექტემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 30 სექტემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 2 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 3 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

დ.მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 7 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2019 წლის 16 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 2 წლით; „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე დ. მ-ი გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის - 2 წლით თავისუფლების აღკვეთისაგან;

დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 3000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა სასჯელმა შთანთქა სხვა სასჯელები, ხოლო უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან - 2019 წლის 16 ოქტომბრიდან.

დ. მ-ს ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით - ჩამოერთვა საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით - საქიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

4. კასატორი - პროკურორი დავით მესტვირიშვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას (სასჯელის ნაწილში) და დ. მ-ის საუარესოდ შებრუნების პრინციპის საფუძველზე უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას.

4.1. საკასაციო საჩივრის თანახმად, დ. მ-ის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომა ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციასა და მის რესოციალიზაციას.

5. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე დაცვის მხარემ, ადვოკატმა ზ. - რ-ა წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც ითხოვა პროკურორის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

5.1. შესაგებლის თანახმად, პროკურორის საკასაციო საჩივარი არის დაუსაბუთებელი და მწირი. მასში გამოკვეთილი არ არის, თუ რაში გამოიხატა სასჯელის უსამართლობა. დ. მ-ის სასჯელის დანიშვნამდე სასამართლოებმა სწორად შეაფასეს მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროება და ამგვარად დააკისრეს პროპორციული სახის სასჯელი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატას იმ ნაწილში, რომ საქმეში

წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს დ. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (ხუთი ეპიზოდი: 2019 წლის 25 სექტემბრის, 2019 წლის 30 სექტემბრის, 2019 წლის 2 ოქტომბრის, 3 ოქტომბრისა და 7 ოქტომბრის ეპიზოდები), სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (2019 წლის 16 ოქტომბრის ეპიზოდი) და სსკ-ის 273^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომას კი საკასაციო პალატა არ ეთანხმება, რადგან იგი აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და მის პიროვნებას; შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს მსჯავრდებულის საუარესო ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. მოცემულ შემთხვევაში დანაშაულები, რომელთა ჩადენაშიც დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ, სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილი - თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 11 წლამდე (2021 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია); საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთას ვადით 6 წლამდე; საქართველოს სსკ-ის 273^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - ჯარიმას ან/და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით 100-დან 120 საათამდე.

5. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი თანაბრად პასუხობდეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ ყველა მიზანს, როგორც დამნაშავის რესოციალიზაციასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, ისე - სამართლიანობის აღდგენას. საქართველოს სსსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი იმ შემთხვევაში მიიჩნევა უკანონოდ, როდესაც გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და ამავდროულად, მის პიროვნებას.

6. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში საკასაციო პალატა სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის შერჩევის დროს სრულყოფილად შეაფასებს როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ზომასა და ქმედების განხორციელების სახეს, ისე - მსჯავრდებულის პიროვნებას.

7. მოვალეობათა დარღვევის ზომის შესაფასებლად ყოველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები ინდივიდუალურად უნდა შემოწმდეს; მათ შორის შესაძლოა, მხედველობაში იქნეს მიღებული: რამდენჯერ და დროის რა ინტერვალით შელახა მსჯავრდებულმა კონკრეტული, სამართლებრივად დაცული სიკეთე. ნარკოტიკული სახის დანაშაულთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ,,ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარება, შეძენა, დამზადება თუ გასაღება სრულიად განსხვავებული შინაარსისა და ხარისხის საფრთხეებს შეიცავს. სწორედ ამიტომ განსხვავდება ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებლის, მისი შემძენისა და შემნახველის მიმართ კანონით დადგენილი სანქციები. თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში მის როლს, ბრალის ხარისხს, ხოლო როდესაც ეს როლი უმნიშვნელოა, უმნიშვნელოა ის საფრთხეებიც, რომლებსაც ესა თუ ის ქმედება ქმნის, მათ შორის, საზოგადოების ჯანმრთელობისათვის" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება N1/3/1282 საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ," II-34).

8. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში გამოკვეთილია დანაშაულთა ერთობლიობა; ამასთან, აღნიშნული დანაშაულის ეპიზოდები დროის მცირე ინტერვალით არის ერთმანეთისაგან დაშორებული, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვისა და მათი გასაღების ხუთი ეპიზოდი ჩადენილია: 2019 წლის 25 სექტემბერს, 30 სექტემბერს, 2 ოქტომბერს, 3 ოქტომბერსა და 7 ოქტომბერს (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით); ამდენად, საკასაციო პალატა უთითებს, რომ დ. მ-ი ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაში აქტიურად იყო ჩართული.

9. გარდა ზემოაღნიშნულისა, დ. მ-მა ჩაიდინა სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების (,,ჰეროინის," ,,ბუპრენორფინისა" და ,,მარიხუანის") უკანონო შეძენა და შენახვა (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 273^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით); აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები, ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბოლო ფაქტიდან (ე.ი 2019 წლის 7 ოქტომბრიდან) ასევე მცირე დროის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2019 წლის 16 ოქტომბერს, დ. მ-ის პირადი და ბინის ჩხრეკის შედეგად გამოავლინეს.

10. აღნიშნულის პარალელურად, საკასაციო პალატა ყურადღების მიღმა არ ტოვებს დ. მ-ის წარსულ ცხოვრებას, ნასამართლობის არქონასა და აგრეთვე, ფაქტს, რომ მტკიცებულებათა ნაწილი დაცვის მხარემ ცნო უდავოდ.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დანაშაულთა ერთობლიობის, ჩადენილი ეპიზოდებს შორის დროის მცირე ინტერვალის, მოვალეობათა დარღვევის ზომის მხედველობაში მიღებით, დ. მ-ის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისა და მათი გასაღებისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზომა (6 წელი) არ არის სამართლიანი და უნდა დამძიმდეს. ჯერ ერთი, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (ხუთი ეპიზოდი: 2019 წლის 25 სექტემბრის, 2019 წლის 30 სექტემბრის, 2019 წლის 2 ოქტომბრის, 3 ოქტომბრისა და 7 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის დანიშნული - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის საუარესოდ და მის ნაცვლად დ. მ-ს უნდა დაენიშნოს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (ზემოაღნიშნული თითოეული ეპიზოდის ჩადენისათვის).

12. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (2019 წლის 16 ოქტომბრის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 273^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის გამოყენების საკითხებს, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დ. მ-ისათვის საბოლოოდ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის მიზნების მიღწევას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დავით მესტვირიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 14 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.1. დ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 25 სექტემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (2021 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია);

2.2. დ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 30 სექტემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (2021 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია);

2.3. დ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 2 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (2021 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია);

2.4. დ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 3 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (2021 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია);

2.5. დ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 7 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (2021 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია);

2.6. დ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2019 წლის 16 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - თავისუფლების აღკვეთა 2 წლით; „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე დ. მ-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან - 2 წლიანი

წლით თავისუფლების აღკვეთისაგან;

2.7. დ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 3000 ლარი;

2.8. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2019 წლის 7 ოქტომბრის ეპიზოდი, 2021 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქოს - სხვა თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

2.9. დ. მ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან - 2019 წლის 16 ოქტომბრიდან;

2.10. დ. მ-ს ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას - სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით - საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები; ხოლო 20 წლით - საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 14 სექტემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე ლ. **თევზაძე**

მოსამართლეები: შ. თადუმაძე

მ. გაბინაშვილი

<< უკან «წინა შემდეგი»

© 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ყველა უფლება დაცულია.

ტექნიკური მხარდაჭერა IDEA DESIGN GROUP